საქართველოს პარლამენტის ბიუროს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№125/9

26 აპრილი, 2010 წელი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 160-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრის ხათუნა გოგორიშვილის საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში დამატებისა და ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით;

2. საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, საპარლამენტო უმცირესობამ, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობამ კანონპროექტზე თავიანთი შენიშვნები და წინადადებები უმოკლეს ვადაში წარუდგინონ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

დავით ბაქრაძე